სკოლის სოციალური მუშაობა და ინკლუზიური განათლება

ეკა ევსტაფიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური სამუშაოს ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი,ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ეკა ევსტაფიშვილი

26.06.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება სკოლებში სოციალური მუშაობისა და ინკლუზიური განათლების პროცესების მიმდინარეობის ასახვას. თუ როგორ ხდება სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვა სასწავლო პროცესში, რა დამოკიდებულებები აქვთ მათ მიმართ, ზოგადად რას მიიჩნევენ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებად და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ნაშრომი მოიცავს, უკვე არსებული კვლევების მიმოხილვას და ასევე ჩემ მიერ ჩატარებულ კვლევას ორ საპილოტე სკოლაში: მე-14 და 31-ე საჯარო სკოლები. კვლევაში გამოვიყენე თვისებრივი მეთოდი, კონკრეტულად კი თანამონაწილეობითი კვლევა, სადაც აღწერილია კვლევის ეტაპები, პროცესები და მიღებული შედეგები ოთხ სხვადასხვა ჯგუფთან: მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და ადმინისტრაცია.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა სკოლებში ინკლუზიური განათლების პროცესებში მიმდინარე დადებითი და უარყოფითი მხარეები, პრობლემები, რომლებიც მომავალში დაეხმარებათ სასწავლო პროცესში ჩართულ პირებს აქტივობების სწორად დაგეგმვა-განხორციელებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, სკოლის სოციალური მუშაობა.

Abstract

The purpose of this work is about social working at schools and to describe the process of inclusive education into the formal education system. How to involve students with special educational needs in the educational process, what attitudes do they have in general, what are the special educational needs and other important issues.

The work includes review the existing researches and also the research which was conducted by me in two pilot schools: 14th and 31th public schools. I used a qualitative research method in my study, particularly the participatory research, which describes the processes of the research and the results obtained in four different groups: students, teachers, parents and administration.

As a result of the research, the advantages and the disadvantages of schools in inclusive education have identified, problems, that will help future individuals in the process of planning and implementing the activities correctly.

Main Key Words: Inclusive Education, School Social Working.

მადლობა

საქართველოში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა ბოლო წლებია რაც აქტუალური საკითხი გახდა, ამ კუთხით რამდენიმე კვლევაა ჩატარებული საქართველოში, თუმცა სოციალური მუშაობის და ინკლუზიის ურთიერთდამოკიდებულებაზე კვლევები არ არის, შესაბამისად ამ თემის წამოჭრის, მხარდაჭერის, გაწეული დახმარებისა და სასარგებლო რჩევებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ხელმძღვანელს და ასევე საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციას კვლევის მიმდინარეობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.